

4  
1966

№ 1 (1227)

თბილისი, იანვარი

1966

# მუსიკა

გამოცემას 48-ე ჟული.

ფასი 20 პას.



კატეგორია  
ნახ. 8.

სამუსიკო

ვისაც აფხაზეთის რესტორნები არ უნახავს, იმას არც აფხაზეთი უნახავს.

აქ, წლის ყოველ დროს, მაღისაღმძვრელი პურ-მარილის თხშივარი ტრიალებს.

ასე იყო ყოველთვის, წლის ყოველ დროს, ასე გვინათ ახლაც?..

— რით გავვიმასპინძლდებით? — ეკითხებით ოფიციანტს.

— პირველს თუ მიირთმევთ, ბორშჩი გვაქვს ახალი კომბოსტოთ. გვაქვს კომბოსტოს კონსომეც, ისე კი ტოლმა კომბოსტოს ფოთლებში გახვიული. გვაქვს კომბოსტოს ღვეზელი, კარგი მჟავე კომბოსტო, ისეთი კომბოსტო გვაქვს ნიგვზით, პირს ვერ მოაცილებთ, სხვათა შორის, ძალან გემრიელია კომბოსტო სულგუში შემწვარი, არც ღომია ურიგო კომბოსტოს ფოთლებზე დალაგებული, შეგვიძლია მოგართვათ თავხევეულა უმი კომბოსტო მთლად. თუ უმი არ გნებავთ, მიირთვით კომბოსტოს ცხარე სოლიანა, წიწაკით შეზავებული....

ახლადა ამჩნევთ — მაგიდის ლარნაკებში გავვავილებული კომბოსტოა ჩალაგებული.

გამოდიხართ გარეთ და ხედავთ კომბოსტოს გორებს. ფარდულებში — კომბოსტო, მაღაზიებში — კომბოსტო. ქუჩაში, სახელდახელოდ გაწყობილ დახლებზე — კომბოსტო. კომბოსტო, კომბოსტო....

ალბათ, გაოცდებით. ჩვენც გავვოდით და, როგორც, იქნა, გავერკვერთ:

აფხაზეთის ასრ ვაჭრობის სამინისტროს დაუშვია გეგმა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სხვადასხვა რაონებს აფხაზეთში გეგმით 533-ტონა კომბოსტო უნდა გაეგზავნათ.

ალბათ, „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ ხელმძღვანელებმა იფიქრეს, გეგ-


## აპავი კომბოსტოს ესახებ



მის გადაჭარბებისთვის ვისთვის უთქვამთ საყვედურიო და გასული წლის მიწურულში სეტყვასავით მიაყარეს კომბოსტო აფხაზეთს. საპასუხოდ დეპეშების სეტყვა წამოვიდა აფხაზეთიდან: არიქა, ნუდარ გამოგვიგზვნით კომბოსტოს, შესანახი ადგილი აღარ გვაქვსო. კომბოსტოთი დატვირთული ვაგონები კი მოდიოდა და მოდიოდა. და განა ერთი და ორი? დღეში იშვისი და შვილი. „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა“ აფხაზეთს თითქმის ათას ტონამდე ზედმეტი კომბოსტო უფეშქაშა, და აქაც, ძალაუნებურალ, იღებდნენ, რადგან, რკინიგზაზე ვაგონები ცდებონენ და ჯარიმა ჯარიმაზე მოდიოდა. შესანაზი ადგილების უქონლობის გამო, სოხუმსა, გაგრასა, ოჩამჩირესა და გუდაუთაში კომბოსტო ლია ცის ქვეშ იყრებოდა და ფუჭდებოდა....

სოხუმში კომბოსტოს უგზავნილენ როგორც კურორტვაჭრობას, რესტორნებისა და სასადილოების აუზები. ასევე სამხედრო ვაჭრობის მაღაზიას. ლა; აი, კასპიან სამხედრო ვაჭრობის მაღაზის სახელზე მოვიდა ერთი ვაგონი კომბოსტო. გაიგზავნა დეპეშა: ჩვენ კომბოსტო არ ვითხოვთ და შეგვეშოთ. ვაგონი კი ელოდა დაცლას. ძოვიდა დეპეშა: შეგვეშალა და ეგ ერთი ვაგონი ახალი კომბოსტო, რომელიც სამხედრო ვაჭრობის მაღაზის სახელზე გამოგზავნილი, აფხაზეთვაჭრობას გადაეციოთ. გაიკირებეს: აფხაზეთში ასეთი ორგანიზაცია არც არსებობდა და არც არსებობს და აფრინეს ისევ საპასუხო დეპეშა. ვაგონი კი ელოდა დაცლას. გამოაგზავნეს კიდევ დეპეშა: შეგვეშალა და ეგ ერთი ვაგონი ახალი კომბოსტო, რომელიც სამხედრო ვაჭრობის მაღაზის სახელზე გამოვაგზავნეთ, გადაეციოთ აფხაზეთის რაისამომხმარებლო კავშირსო. ახლა უფრო გაიკვირვეს აფხაზეთში: რა მოხდა ასეთი, ვის უგზავნიან, თვითონაც არ იციან. ასეთი ორგანიზაცია არც არსებობდა და არც არსებობს. 1965 წლის 18 ნოემბერს გამოვაგზნილი ერთი ვაგონი ახალი კომბოსტო შეიძლება ახლაც დაგა კელასურის სადგურზე და ელის მიმღებს. ფიქრობენ აფხაზეთში, თუ რა გზა მონახონ ამოდინა კომბოსტოს გადასარჩენად. ჩვენი რჩევაა, მეკურდლეობას მოჰყიდონ ხელი და ამით იხსნიან იმ ათას ტონამდე კომბოსტოს, რომელიც ასე ხელგაშლილად მიართვა „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა“ მათ.

ი. გვრსამია  
გ. მეტრეველი.



ერთობლივი საბჭოთა კულტურის მუზეუმი

ერთობლივი საბჭოთა კულტურის მუზეუმი

ერთობლივი საბჭოთა კულტურის მუზეუმი

# რა ე და გრიფი?

გუშინ დღელ დღესაცით მახსოვს, სკოლაში უკანასკნელი გამოცდა რომ ჩავაბარე. მე და ჩემმა მეგობარმა მაქტეტმა ლალიძის წყლებთან ახალი აბაზიანი ჰაერში ვისროლეთ. ვიღებ აბაზიანი ძირს დავარდებოდა, მაქტეტმა სხაპასხებით მომავარა: „არიოლი — ტექნიკური, რეშა — ქუპანიტარული“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი მომავალი სამართლო სამართლო ჰაერში ეყიდა. „რეშა!“ — დავიძახეთ მიწას სატერებულებმა და აბაზიანი ხელმეორედ შევისროლეთ ზევით. „არიოლი — სამედიცინო! რეშა — უტრალისტი!“ — მივაძახე მაყმეტს.

— თუ აბაზიანი დატარება, ქარხანაში მივიდიარო! — თავის მხრივ დასძინა მან. და შემდეგ ისე მიწას ჩავაშტერდით. ქევანმა აბაზიანმა კვლავ რეშა ირჩია, ალბათ, იცოდა, რომ სამედიცინოს აბაზი ვერ გაწვდებოდა.

ახ გავხდი უტრალისტი. სამსახურში მისვლისთანავე შტეპსელების საამჭროში გამაგზავნეს ინტერიერის ასამღებად. კოხტა მაგიდებთან მომუშავე ცვლა გოგონა შე შემომარტინდა. საშინალ დავაბენი. ბლოკონტი ამოვიღე. უტრალი მდგომარეობიდან რომ გამოვსულიყავი, ვიფიქრე რიცხვს მაინც ჩავშერ-შეტქი, მაგრამ რა რიცხვი იყო, ისიც კი ვერ გავიხსენე. ბლოკონტით ხელში ცვლაზე ახლო მჯდომ გოგონას რისით მიუახლოვდი და შევეკითხ:

— დღეს რამდენი?

გოგონამ მაგიდას თვალი გადავლო, ამაცერად, უშეკური და მიმილით ამომხედა და მიასუა:

— ცი.

ნამდგილად ვიცოდი, რომ თვე ახალი დაწყებული იყო. გოგონას პასუხი ხუმრობაში ჩაუთვალო.

— გუშინ მეტი იყო! — გაწილდა იყო.

ეს კი მეტისმეტია. გუშინ შეტი როგორ იქნებოდა. გოგონებში გარენტულად უფრო მოკრძალებული სახისას მივაღევი და კითხვა ჩურჩილით გაფუმეორე:

— რამდენია დღე?

— 25, გუშინ ნაკლები იყო, ავად ვიყავდ.

საშინალ ავლელი. ცადით, გამოუცდელობა შემატევს და დამცინან. ნიჩრამხდარი კვლავ მიკუალეოდი რომელილაც მაგიდას და იგივე შეკითხვა გაფორმორე:

— დღესაც და გუშინაც ირჩიო იყო! — ამაყად მიპასუხა ციფრერაბიანმა.

მაშინ კი მივხდი, რომ ინტერიერი დაწყებული იყო.

ნახ. 6. გალაზონიანი



— სიკვილს რომ გადამარჩინით, ბატონო ეჩიორ, ერთი ჩაცინი მოგართვით ძლივად!

— შე დალოვანილო, რომ მოგვიდა როდები, როდები ჩაცინი მოგართვის ტიპი! — მივაძახე მაყმეტს.

## სასაჭრეს

თუ შენ რიგითი მუშაკი ხარ და დირექტორმა გაგლამძო, იმისთვის, რომ შელახული პრეტიული აღიღვინონ თანამშრომელებში, დაუკითხავად შეევარდი კაბინეტში, ატეხე ყვირილი, დაიწყე ლანდრეგა: „შე ასეთ, შე ისეთ, შენ მე ვინ გამონიგარ, შენ დირექტორი კი არა, „საპორნიი“ ხარ!“ მერე ჩამოხივ კალენდრის ფურცლები; დახივ და მიაყარე პირდაპირ სანაგვე ყუთს. ციტა ხანს კიდევ იყვირე, იღრიალე და მერე სასწავლო დატოვე კაბინეტი, რომ დორეგტორმა არ მოგისწროს.

\* \* \*


ერთი აბიტურიენტი, რომელსაც გამოცდა მანქანისთვის უნდა ჩაებარებინა, დიდანს ტრიალებდა მის გარშემო. აბიტურიენტთან მიერთა კომისიის თავმჯდომარე და გააფრთხილა:

— რას უტრიალებთ, ახალგაზრდავ, მანქანის მუშაობის პრინციპი ხომ გაგაცნეს?

— უულის ჩასაგდებ ადგილს ვეძებ, ბატონო! — მიუკო აბიტურიენტმა.

თ. გდივანი

ნახ. 8. აბაზიისა



კოორდინირებული ჩატანა

პატივცემულო რედაკციაში!

როგორც თბილისის გულშემატყივარი და შევიდრი უსასყიდლოდ ვთავაზობ ქალაქის საბჭოს შემდეგ რაციონალიზატორულ წინადაღებებს:

1. დაინგრეს თერმეტსართულიანი სახლი და მის ადგილზე აშენდეს თორმეტსართულიანი.

2. დაინგრეს აბანოების უულცურო შენობები და მათ ადგილზე აიგოს კულტურული რესტორანი — „ბარაქალა ქიხა“.

3. ვინაიდან შემცირდა რუსოველის გამზირის გამტარიანობა, დაინგრეს და მის ადგილზე ორსართულიანი გამზირი აშენდეს.

4. მოენგრეთ რეინის ლობები ზომპარეზი ექსპლოატირებ ულ ლომებს, ვეზევებსა და სპილოს (სევე აუთორებს, მგლებს და ტურებს).

5. სასწავლოდ მიეცეს შეკვეთა ზოგიერთი ძეგლის გასამრავლებლად, ჩვენი კომწია დაბა-ქალაქების გაშვერინერების საჭიროებითობის.

სხვა წინადაღებებზე ვფიქრობ და მაღლ მოგაწვდით.

ამასთანვევე, გოხვით, არ შეიძლოს ჩემი საავტორო უფლებებით.

სრული ნდობით და პატივისცემით, კი მართან კი მართან მოიდო.

### ჩვილ გამოცდილებიდან

დიდი ხანია ვმუშაობ თარგმანის პრობლემებზე. შრავალწლიანი გამოცდილების შედეგად, მივაკვლიერებ ზოგიერთ კანონისმიერებას და დავაგინე შედეგი ჭეშმარიტებანი:

1. მთარგმნელებად, ძირითადად, ხდებიან ადამიანები, რომლებმაც:  
 a) ან არ იციან ის ენა, რომლიდანაც თარგმნიან; b) ან არ იციან ის ენა, რომლებმაც თარგმნიან; c) ან არ იციან ის ენა, რომლიდანაც თარგმნიან და არც ის ენა, რომლებმაც თარგმნიან.

თორიოლი ნაწილის გარკვევის შემდეგ გადავდივარ პრობლემის პრაქტიკულ დამუშავებაზე.

2. დასადგენია: a) რას გრძნობენ ზემოხსენებული პირები, როცა მათი პროდუქცია იძეგდება? b) რა სახლი უნდა გვეწოდოს ჩენ — ამ პროდუქციის ბირუტებს? გ) რათ ხელმძღვანელობენ გამომცემლები, როცა ასეთ საკონკრეტო ჭრაში უშვებენ, შემდეგ სტამილან?

ამ საკითხების გარკვევის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, დარწმუნებული ბრძანების დადგენერირებით, კულტურული მოდებული შედეგის მოყვე ანოტაციას.

ნერჩი სტამილანი



# მამ, ამას უნია!

იმ საღამოს გადაულებლად წვიმდა, მაგრამ მა-ინც უნდა გავსულიყვავთ ქალაქში, რათა, დაბი-რებისამებრ, ერთი ლამაზი გოგონა წამეჭვანა ახლო ფილმის სანახავად. მოელი სეანის ვიდეო ჩემი სახლის სადარბაზო შესასლელში და ვუს-ტვენდი მანქანებს. სამშა ძალმა გაძმონედა მოპირდაპირე შენობის ფანჯრებიდან, სანამ ტაქ-სი მომაქცევდა უურადლებს და ზედ ტროტუა-რზე აძოგორდებოდა.

— რუსთაველზე! — მოკლედ გავაძლე შე-ცერს ჩემი სურვილი და ცხვირსახოცით თმა შევიძრალე.

ისევ აგუგუნდა მოტორი, ვიფიქრე გავურინ-დით-მეოქვე, მაგრამ მანქანა რაღაც უშენდ შე-ირყ-შემოირყა და ადგილზევე დარჩა.

— ჩავჭერი, შე თხერო? — აშოგბია შოფე-რმა, კარი გააღო და უკან გაიძედა.

— დიახ, ჩავჭერი! — ვუპასუშე მე. — სად იყურება, აქა ვარ!

— შენ თვითონ სად იყურები! ვერ გახაურ-თხილე, ორშო თუ იყო გადი ერთი, მოაწერი ცოტა!

ისევ შეწუხებული ჩანდა, მანქანას კი არა, აფ-ტომობილებს მოელ ქარხანას მივაწევებოდა. გა-ვედი იმ თავსხმაში, სახელმოება წამოვიკაბიშე.

— აბა, მიდი! — მომაბახა შოფერშა და მან-ქანა ფერიანივით ამუშავა. უკანა თვლები ისე გაშემაგებით ისროდა ტალაზის შეეფებს, რომ თქ მეტრზე ახლოს არ მიმიშვა. მანქანა მომაბალიც არ მოუცვლია ადგილიდან.

ისევ გვერდით მივუჭერი შოფერს.

— ეს, რა თარსად ჩავჭერი?

— მანქანაზე ამბობ, ხომ? — ვკითხე მე.

— მანქანაზე არა, პარახოდზე! — მითხრა და ჩავიდა. ტროტუარზე, აშოგდებული ფილმის ადგილს, ქვემი ჩაყარა, პაპიროსს მოუკიდა და „გრი“-ო გააგიუა მოტორი.

მოელი ნახევარი საათი ქარივით მივჭროდით ადგილზე.

უეცრად თველი მოვეარი მრიცველს: „2 მან. და 50 კაბ“. ეწერა ზედ. განცილებებისგან ენა ნამივარდა და სანამ ამოვიდგამდი, „2 მან. და 60 კაბ.“ განდა.

— ეს რა, ფული იწერება? — ვთქვა რაც შე-იძლება მშვიდად.

— მაშ, როგორ! უკანა ბორბლები ტრიალებს, ზარის, სპიდომეტრი ჩართულა.



სამად-სამი მანეთი მქონდა ტაქსისა და კიხოს ბილეთებისთვის, მრიცველს ჩაგაშტერდი და ვიგრძენი, შაგრენის ტუავივით როგორ მიღე-ბოდა ხელში ცული.

„2 მან. და 70 კაბ“.

„2 მან. და 80 კაბ“.

„2 მან. და 90 კაბ“.

„3 მან. და 00 კაბ“.

— სტოპ! — დავუცვირე მე. — გამორთ სა-ჩარი!



სსერმასათველობაში

— რაც გათბობაზე თხოვთის განცხადე-ბები იყო, სილ დავგვით და არი რაღა ვპნათ?

— აგრე მოიტანა ახალი განცხადება უ-გამოართოთ!

— ეს არ ეყოფა! — თქვა და ფული გაშობა-რთვა.

მრიცხველზე უკვე „2 მან. და 10 კაბ.“ ეწერა.

— კაცო, გამორთე-ხეოქი!.. მეტი ფული, არა მაქებს, ახლა აქ სად გიშოვო!

— ადი სახლში, დაგელოდები! გამოვრთო, რა, მერე შენ ამიუყვანა ამ მანქანას?

— რომელ სახლში? — გამიგვირდა და გარეთ გავიხედე, — კაცო, ისე ჩემს სახლთან ვარო?

— მაშ, როგორ, დედამიწა მრგვალია!

— კა, ძალიან მრგვალია, სულ თავბრუ და-გეხსის...

— ხა, ხა!.. — გაიცინა ბოლმაზე მოსულმა შოფერმა, — რა კარგი იყო არა, პარიზი?.. უკ-ვე 3 მანეთი და 20 კაბიკა! — ჩამიგესლა ჩან.

— საუცხოო!.. ბერლინი?

— უჲ, ბრწყინვალე! ხა, ხა! — ისე მიყურებ-და, ლამის თვალებით გადავესანსლე.

— იტალიის გზები როგორ მოგეშონა? — მეც ყელთან მქონდა მოსული სიბრაზე.

— სარკესავითაა, ხა, ხა!.. უკვე 3 მანეთი და 30 კაბიკი განდა.

— გახდეს!.. გახსნვს, რომში მანქანის საყვი-რი რომ გიყიდე?

— ხა, ხა, ხა! — ახარხარდა შოფერი. — რო-გორ არ მახსოვს.

— მერე რესტორანში რომ დაგატიუე?

— უჲ, შესანიშნავი იყო! ხა, ხა!.. 40 კაბიკა, იცოდე!

— იყოს!.. მერე, 40 ათასი ლირა რომ გასეს-ხე. ცოლის საჩუქარზე დამაკლდაო!


— მა, მა! მაგას როგორ დაგიფიშები.. 8 ჩა-ნეთი და... ხა... ხა...

— ისე 40 კაბიკია, სამწუხაროდ.

— სამწუხაროდ, მაგ 40 კაბიკს იმ 40 ათას ლირაში გიქვითავ! — თავი დაგზარალე მე.

კარი ისე მაგრად მივუჭაუნე, რომ მანქანა ორმოდან ამოხტა და, სანამ ჩემი სახლის სადა-რბაზმაში შევვარდებოდი, გინებ-გინებით წვიმის. ნისლში მიიკარგა.

ომგა ალფაიდი



# რუსთაველის გიგანტები — ვეზბურთის ძოშენტორი

(ლიტერატურული პაროდია)

დამთავრდა ესე სეზონი, ვითა სიზმარი ღამისა,  
ხამს ვიწყოთ თვლა ქულებისა, კვლა გოლისა და წამისა,  
„დინამოს“, „ლოკომოტივის“, ტორპედოს“ განაწამისა,  
სჭირს მოყვარულთა ხსენება აფშევის წარბ-წამწამისა.

დია გვალხენდა „დინამო“, როს ვერცხლსა ოქრო ირჩია,  
ოდეს მხნე ბარქაიამან გვიჩვენის ბასრი კიჭია,  
იამანის ძე ლომგული, სლავა და მესხი — ნიჭია,  
შიშით ძრწოდიან დამცველნი, იზახდენ: „სიჭი, სიჭია!“

ხანი გამოხდა, და-ცა-ხდა „დინამო“ აღზევებული,  
ბევრი ვიზილეთ მსაჯთაგან მიერით გაძევებული,  
„ტორპედო“, ვითა ტორპედო, სხვა ქვეჯუფს არის რებული,  
„ლოკომოტივი“ საქმეზე გვიანდა დაფიქრებული.

სიხარულის ძეს ვაქებდეთ სისხლისა ცრემლდანთხეული,  
ახალთა მწვრთნელთა გვარებით აღარ გააგსოს რვეული,  
განკურნოს ჩვენი ფეხბურთი სამგანვე პირდარღვეული  
(ზეაღმავალი ბე-კლასი უპვე გაგვიხდა ქვეული!)

ესე რჩევანი უებრო გვითქვამს და მოგვიტანია:  
ზედწოდებანი გუნდთანი სიკვდიმდე გასატანია?  
„დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ რაცა ხანია...  
შეგვმატოს „რადიატორიც“, „ზაზორი“, „ზაჟიგანია!“

არ გათნეთ, იცით შეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,  
ზემდგომ-ქვემსდღომნი ჩარევით მიწყიფ რად თავს იქლავდიან?  
ბანძელი პოლიტონიონ თუ ჭოპორტელი კლავდია...  
ვთგლას, ნაბან წყალს ხშირად ხომ ბავშვს გააყოლებს გადია!..

მესხი მელექსე მოუხმობს შოთას, მესხს ოქროს მშემვებლსა,  
რვა საუკუნის სახსოვრად სხვის კარს ახსნიდენ ბეჭედსა!  
რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მხმეჭელსა...  
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!..

## რ. გიგანტოზილი

ნახ. 6. გალაზონია



## თვალის ექიმთან

— ეზ სახვები არ მოიცილო, ახლა ფაზი სა ხეალ გამოიარო!

— სად ფაზიდა, ბათონო, მოორ თვალი მუ-  
ჯისა გამარს!..



მოქალაქე მგზავრებო! მატარებელი ნომერი 258, თბილი-  
სი-თელავი, ხუთი წუთის შემდეგ გავა თბილის სადგური-  
დან. პირველ ვაგონში გატეხილია ერთი, მეორეში — სამი,  
მესამეში — ორი, მეოთხეში — ხუთი, მეხუთეში — ითხი,  
მევეკეში — ორი ფანჯარა. ვისაც კახური ღვინო გაქვთ, და-  
ჯებით ფანჯარასთან ახლოს. ვისაც ზაკიქისა და ხველა-ბა-  
ტონებისა გეზინით, ერთად მოგროვდით და გაათბეთ ერთ-  
მანეთი. გაციებულთა დასახმარებლად სადგურ საგარეოში  
მატარებელს დახვდება ბაზრის წინ ჩამწკრიცებული კახურით  
სავსე ბოთლები. შესვით და გაამოთ! დამტკრეული ფანჯარე-  
ბიდან შემოჭრილი გამერავი ქარი ნედლი ხორცის შენახვის  
უებარი საშუალებაა. გატეხილ ფანჯარასთან ახლოს დაწყებ  
უკელა ისეთი საკვები, რომელსაც შუა ზამთარში ჩახურება  
ემუქრება!

პატარებულის აღმართშე და ჩალაუნის დაღმართშე შეიძ-  
ლება ანგრის მსუსავებ ქრმა შეგაუტებოთ! სულით ნუ და-  
ეცემით! დაწექით და ხურჯინებს ამოეფარეთ!

ამიერკავკასიის რეინიგზის ზოგიერთი მუშავი, კახელების  
უკეთ მომსახურებისთვის, კიდევ დიდხანს არ ჩასვამს მი-  
ნებს!

რედაქტორი 6. დუშაძე

სტრიქონი ქოლეგის: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია,  
გ. ნიშნავიძე, ნ. შეველიძე, მ. ჭელიძე.


ნატ. ერ. ცენტრალური  
კომიტეტის  
კამოცცელება

თბილისი. სატირისა და იუმორის უკრნალი „ნიანგი“. თბილისი. კატერიკო-იუმორისტიკული ჟურнал „Нианг“. რედაქციის მიხამართის რუსთაველის პრ. № 42. ფასაზე რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-78

სტატიული. დასაბ. 4 I-1966 წ. ქარ. ზომა 70X108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათი რაოდნობა 0,5, პირობით ფორმათი  
რაოდნობა 1, ტექსტურული აეტორების არ უბრუნდებათ. საქ. ქა გამოცემულიას სტამბა № 1, ლენანის ქ. № 14, შევ. № 4433 უ 01802 ტირუა 40000

Ոսկ և մայրական թուղթեան  
գոմույունը ծլողն է զամուխան գա-  
լուց հետո, ոնցուուն մուշկունք ու-  
նի ձեռնուրուն մուշկ հոգ ։ Մայրա-  
կան ծառական ծառակ ։

ИНДЕКС 76317



“ՊԱՑՈՎԱՅՐ”